ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2272633

ნომერი: AR1352219

თარიღი : 27.10.2015

გაცემის თარიღი : 02.11.2015

გაცნობის თარიღი : 02.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ კერესელიძე პ/ნ 01009018514
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 36 ბ. 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით ს.ს. "სადაზღვეო კომპანია იმედი ელ"-ის საკუთრებაში ირიცხება ფართი II სართულის დონეზე, საპროექტო დოკუმენტაციით კი აბრის მოწყობა გათვალისწინებულია I სართულზე. წარმოადგინეთ I სართულის დონეზე განთავსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფართი არ ირიცხება ს.ს. "სადაზღვეო კომპანია იმედი ელ"-ის საკუთრებაში, მისი მესაკუთრის/მესაკუთრეების თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით), აბრის მოწყობის თაობაზე.

2. მეორე აბრის მონტაჟი გათვალისწინებულია #01.14.14.010.028 მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეზე. წარმოადგინეთ აღნიშნული ნაკვეთის მესაკუთრის, შ.პ.ს. "ლეჩკომბინატი #1"-ის თანხმობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით), აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.